№ 27 ფებერვალი 4, სამშაბათი. 1886 ფებერვალი 4, სამშაბათი № 27

გაზეთი ღირს:

თვეე	მან.	კ.	თვეე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ҃ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 3 ფებერვალს

ეს თითქმის სამი კვირა არის რაც მთელის ქვეყნის თვალი მიქცეულია ინგლისზედ. ინგლისში, როგორც უკვე ვიცით, კონსერვატორების სამინისტრო სალუსბიურისა გადადგა, პარლამენტის პირველ კრებაზედვე დამარცხებული. 26 იანვარს პარლამენტში ხუთას სამოცდა ცხრამეტის ხმიდამ სამას ოცდა ცხრა სალუსბიურის წინააღმდეგი აღმოჩნდა და ორას ორმოცდა ათი მის მომხრე. საგანი, რომელიც პარლამენტის საგამათოდ შეიქნა და რომელზედაც ფეხი წამოიკრა სალუსბიურის სამინისტრომ, ირლანდიის საქმე იყო. სალუსბიურის სამინისტროს ჰსურდა «ეროვნებული ლიგა» ირლანდიაში აკრძალულ ყოფილიყო და ღონე რამ მიეღო, რომ ირლანდიამ წინააღმდეგობა აღარ გაუწიოს მთავრობასა შემდეგში. გლადსტონის სურვილი კიდევ ის იყო, რომ ყოველ უბედურების მიზეზად ეცნოთ მიწათ-მფლობელობის უსწორ-მასწორობა ირლანდიაში და წამლად ამასა ჰსდებდა, რომ ძალდატანებული ღონე რამ იხმარონ მიწათ-მფლობელობის უკეთესად განაწილებისათვის იმ სახით, რომ მიწები მფლობელთაგან გამოსყიდულ იქმნას ხაზინის შემწეობით და განაწილებულ ფერმერთა შორის. ეს ორ-ნაირი მდინარეობა აზრისა 25 და 26 იანვარს ერთმანეთს დაეტაკა პარლამენტში და ბურთი სამართლიანმა აზრმა გაიტანა მოედნიდამ. თუმცა ჯერ ირლანდიის საქმე ამ მხრით ჯეროვანად არ არის გასინჯული და გადაწყვეტილი, მაგრამ სალუსბიურის სამინისტროს კი ბოლო მოუღო ამ გვართა აზრთა დენამ ინგლისში ირლანდიის შესახებ. ყველას უკვირდა, რომ სამოცდა თექვსმეტის წლის მოხუცმა გლადსტონმა ამისთანა დროს იკისრა მინისტრობა. გარედ იმოდენა აწეწილი საქმე დაჰრჩა სამინისტროს, შიგნით ასეთი მწვავი საქმეა, როგორც ირლანდიის საქმე; გარდა ამისა მუშების არეულობა, რომელიც დღე და დღე უფრო ძლიერდება, ძალიან ჩასაფიქრებელ და მძიმე საზრუნველ ამბავად გახდა—ყოველივე ეს წილად ჰხვდა, მართალია, ძლიერ გამოჩენილს სახელმწიფო კაცს გლადსტონს, მაგრამ ძლიერადაც მოხუცებულსა, რომელსაც ირლანდიის საქმისა გამო ბევრნი უწინდელნი მომხრენიც გადუდგნენ. ხოლო გლადსტონი იმოდენად ჭკვიანი სახელმწიფო კაცია, იმოდენად გამოცდილი *), რომ, თუ იკისრა, ჰსჩანს იმედი აქვს ბოლოსაც გაატანს. რადიკალების მოთავის ჩამბერლენის და შესანიშნავის რადიკალისვე მორლეისა სამინისტროში მოწვევა პირ-და-პირ გვითითებს რა გზას დაადგება გლადსტონი ამ გაჭირებულ დროს. ჩამბერლენი ცხარე მომხრეა იმისი, რომ ირლანდიელ ფერმერებს მიწები დაუსაკუთროს მფლობელთაგან ძალად გამოსყიდვით და მორლეი, ირლანდის საქმეთა სეკრეტრად დანიშნული, დიდი თანამგრძნობელია ირლანდიელებისა და ამ მხრით, თუ პარნელს არა ჰგავს, ბევრში უკან არ ჩამორჩება. ამბობენ ყველასაგან მოწონებულ როზბერის მაგიერ, რომელიც ეხლა საგარეო საქმეთა მინისტრად არის დანიშნული და რომელიც ბისმარკთან კარგად გაწყობილია, მოწვეულ იქმნება დილკიო. თუ ესეც გამართლდა, მაშინ ცხადი იქნება, რომ ეხლანდელი სამინისტრო გლადსტონისა უფრო დიდის მხნეობით და გაბედვით შეუდგება რადიკალთა პროგრამმის განხორციელებას გარედაც და შიგნითაც. ზენა-პალატა, საცა არამც თუ რადიკალები, ერთობ ლიბერალებიც ცოტანი არიან ტორებზედ და საცა სალუსბიურს დიდი ზედ-მოქმედება და გავლენა აქვს, რასაკვირველია, დიდს წინააღდეგობას გაუწევს გლადსტონსა. მაგრამ გლადსტონს ეგ ძალიან არ უნდა აფიქრებდეს. რადგანაც ერთხელაც ასე მოუვიდა და გლადსტონმა კარგა ფერი აცვლევინა მაგ დიდკაცობის პალატსა,—მაგ ზენა-პალატამ თავისის არსებობის მიზეზი და საბუთი დიდი ხანია დაჰკარგაო, და, თუ სრულად გაუქმება მისი არ მოხერხდება, ბევრში გადაკეთებას ხომ წინ არა უდგას რაო. რასაკვირველია, ამ საბუთიანს და რიხიანს მუქარას ვერ გაუძლო ზენა-პალატამ და დაჰყვა გლადსტონსა. ეხლაც ასე მოახერხებს, თუ გაუჭირდა. საქმე ქვენა-პალატაა. თუ გლადსტონმა აქ საჭირო ძალი და ღონეც ვერ მოიპოვა, იქნება დაითხოვოს ეხლანდელი პარლამენტი, ხელ-ახლა არჩევანი მოახდინოს და ამ გზით დაეკითხოს თვით ინგლისის ერს: მოგწონთ და გინდათ თუ არა ჩემი პოლიტიკა შინაური თუ საგარეო. თუ ინგლისის ერმა მოუწონა, პარლამენტში იმისთანა კაცებს გაჰგზავნის, რომელნიც მხარს მიჰსცემენ გლადსტონსა, თუ არა და გლადსტონი ისევ სალუსბიურს დაუთმობს სამინისტროს და თვითონ კი გადადგება.

---

*) ჯერ კიდევ ოცდა ხუთის წლის კაცი იყო, რომ 1834 წ. სერ რობერტ პილის სამინისტროში თვალ-საჩინო ადგილი ეჭირა.

ახალი ამბავი

⁂ ძალიან გაჭირებულს მდგომარეობაში არიან თურმე ქართველი სტუდენტები. «ჩვენში მოიპოვებიან ათს კაცამდე, იწერებიან იქიდამ, იმისთანებიო, რომელთაც არც შინიდამ მოსდით ფული, ვერც აქ შოვობენ ვერა-რა ღონის-ძიებას, რომ თავი ირჩინონო. ისე, რომ ერთს სახლი არა აქვსო, მეორე ცარიელ პურზე გადადისო და მესამე კი დადის ტიტველ-შიშველიო». ამ განწირულებისაგან იძულებულს ქართველს სტუდენტობას გამოუგზავნია წერილები ტფილისში და რამდენისამე საპატიო ოჯახისათვის უთხოვნია შემწეობა თავიანთ გაჭირებულს ამხანაგებისათვის. რომ მათდა სასარგებლოდ რამე ღონისძიება მოიპოვონ და მოსწავლე ყმაწვილ-კაცობა განწირულობიდამ დაიხსნან.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის საპატიო გვამნი, რომელთაც მაგისთანა წერილები მოსვლიათ, ყოველ-ღონისძიებას იხმარებენ გაჭირებულს ძმათა და შვილთა საშველად. ჩვენ, ჩვენის მხრით, ვსთხოვთ ქართველობას შეძლებისა-მებრ ხელი გაუმართოს სწავლისათვის თავ-დადებულს ყმაწვილკაცობას, რომლის სიკეთესა და დღეგრძელობაზედ დამყარებულია სასოება ჩვენის მერმისისა.

რედაქცია თავის მხრით, საცა ჯერ არს მოითხოვს, რომ ნება მისცენ ამ საგნისათვის შემწირველთაგან საჯაროდ ფულის მოგროვებისა.

⁂ გუშინ ქალაქის საბჭოს განსახილველად ჰქონდა დანიშნული სხვათა შორის შემდეგი საგნები: 1) ქალალდი სახელმწიფო მინისტრთა რწმუნებულისა, რომლითაც ქალაქს უარი მოსვლია. რომ ალექსანდროვის, საბატანიკო და მუშტაიდის ბაღებს ქალაქს ვერ გადმოვცემთო. 2) შუამდგომელობა სოფლის სამეურნეო საზოგადოების რჩევისა მასზედ, რომ ქალაქმა შემწეობა აღმოუჩინოს ხეხილის ბაღეულობის სკოლის გასამართავად ტფილისში. 3) ინჟენერ-ტეხნოლოგის გულიშამბაროვის წინადადებაზედ, რომ თხოვნა შეიტანონ ქალაქის საზოგადოების გამგეობის სახელით და ითხოვონ ქალაქში ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტი გაიმართოს.

⁂ დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა «ქილილა და დამნა», ვახტანგ მეფის-მიერ თარგმნილი. წიგნი კარგა მოზდილია, ლამაზად და ფაქიზად გამოცემული, ფასი სამი მანათია.

იბეჭდება და ამ ხანებში ჩქარა გამოვა გასასყიდად შემდეგი წიგნები:

1) თ. ნ. ბარათაშვილის ლექსები, მესამე გამოცემა.

2) კრებული ქართული არითმეტი-

ფელეტონი

სასამართლოს წარმოება სვანეთში

სვანეთში სასამართლოს შეადგენდენ მსაჯულ-მედიატორეები, რომელთაც სვანეთში ეძახიან «მორევარ». ეს კათეგორია მსაჯულებისა, რამოდენისამე განსხვაების გარდა, მზგავსია იმ მედიატორულის სამართლის წარმოებისა, რომელიც დღესაც ბევრგან სხვაგანაც არსებობს. «მორავეთ» ყოფნა სვანეთში ყოველს კაცს შეეძლო, თუ კი შემთხვევა გამოიწვევდა მას ამა საქმისათვის. აქედამ ჰსჩანს, რომ «მორავეები» არ იყვნენ არც მუდმივი, არცა ვადით ამორჩეულნი ჩვენს ეხლანდელ სოფლის მოხელეებსავით. მსაჯულ-მედიატორეთა ამორჩევა სრულიად დამოკიდებული იყო მომჩივან-მოპასუხეთა არჩევანსა და ნება-ყოფლობაზე. მაგალითად: ვსთქვათ, მე შენ მაწყენინე, ან სხვა რა უსამართლობა გამიწიე. მაშინ მე მაქვს ნება ამოვირჩიო მსაჯულ-მედიატორეთ («მორავეთ») ერთი ვინმე სანდო კაცი, ისეთი, რომელმაც ამ საქმის გარემოება დაწვრილებით იცის. ესევე უფლება გაქვს შენც ჩემს მოპასუხეს. მეორედ რომ დამჭირდეს მართლ-მსაჯულებისადმი მიქცევა, მაშინ მინდა იმავე პირებს ამოვირჩევ, მინდა სხვებს, რომელთაც ამ მეორის საქმის გარემოება უკეთესად იციან. ერთი პირობა უთუოდ უნდა დაცული ყოფილიყო «მორევების» ამორჩევის დროს: მომჩივან-მოპასუხეს ან ორთავეს თავიანთი ნათესავები უნდა აერჩიათ, ან ორთავეს გარეშე პირნი, რათა სამართალი უფრო მიუდგომელი ყოფილიყო. «მორევებს» ხალხი ისე მოწიწებით უყურებდა, როგორც სამღრთო პირს და უყურებს დღესაც, როცა კი «მორევების» საშუალობით წყდება ხოლმე საქმე. «მორვარ ღერთემი ნაწასვლიის»—მორევები ღვთისგან გაჩენილნი არიანო—იტყვის ხოლმე სვანი. მორევებიც ამ ნდობას ერისას ისე გულს-მოდგინედ ემსახურებოდნენ, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო მათგან მიდგომ-მოდგომით საქმის გადაწყვეტა. იმათ ისიც მეტის-მეტად აწუხებდათ: ვაი, თუ ჩვენის მიუმხდარობით სწორს სამართალს გადვუდექით და ფიცი შევბღალვეთო. ფიცს—რასაკვირველია არა ახლანდელის ფორმის—სვანი მეტის-მეტად უფრთხის და ერიდება, რადგან დარწმუნებულია, რომ ტყუილი ფიცი არა მხოლოდ საკუთრივ მასზედ მოავლენს ღვთის რისხვას, არამედ მთელს ოჯახზე და შთამამავლობაშიაც არ ამოიკვეთება იგი რისხვა. ამ ნაირი შეხედულება ერისა მორევების წმინდა მოვალეობაზე იყო მიზეზი იმისი, რომ «მორევები» ძნელი საშოვნელნი იყვნენ და ყველა ცდილობდა მოჰრიდებოდა, თუ წინ-და-წინ შეიტყობდა, რომ ვისმეს მისი ამორჩევა უნდა რომლისამე საქმის გასარჩევად. ხოლო ამ დაბრკოლების ასაცილებლად სვანებს აქვსთ ერთი ღონის-ძიება. მძებნელი «მორავისა» იშოვის რამე საეკკლესიო ნივთს, თუნდა საყდრის კლიტეს, შევა იმ სახლში, საცა სამორავე კაცი ეგულვება და როგორმე ეცდება ხელი მოაკიდებინოს ამ ნივთსა, რის შემდეგაც უარის თქმა «მორავობაზე» ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ამით სვანი ღვთის რისხვას გამოიწვევდა. «მორავი ღვთისგან გაშობილიაო», ამიტომაც ამბობს სვანი.

მორევების სამართალს ექვემდებარებოდენ ყოველ-გვარი საქმეები, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლისა, ზოგიერთა შემთხვევათა გამოკლებით, რომელთაც შემდეგ მოვიხსენიებთ.

მორევების რიცხვი ორზე ნაკლები არ შეიძლებოდა და თორმეტს ათასში ერთხელ დიდს რასმე საქმეში, თუ ალემატებოდა. ჩვეულებრივს რიცხვად იყო მიჩნეული ექვსი მორავი: სამი მომჩივნის და სამი მოპასუხის მხრით, მაგრამ სხვაფრივაც შეიძლებოდა ოღონდ რიცხვი წყვილ-წყვილი უნდა ყოფილიყო, რამდენიც ერთის მხრით, იმდენიც მეორის მხრით. ისეც შეიძლებოდა, რომ ორსავე მხარეს ერთად ამოერჩიათ ერთი რომელიმე კაცი, სახელდობრ მაშინ, როცა მე და ჩემს მოდავეებს ორ-ორი მორავი ჰყავთ, მაგრამ საჭიროდ დაუნახავთ მეხუთის მომატებაც. ამ მეხუთის არჩევანი ორივეს თანხმობით უნდა ყოფილიყო.

მორევების ამორჩევამდის მახვშის და რამდენსამე სხვა პირს მომჩივან-მოპასუხე უნდა დაეყაბულებინათ მორიგებაზე. თუ ეს არ მოხდებოდა, მომჩივანი თავისს მორევებს დაასახელებდა და მახვშის პირით აცნობებდა მოპირდაპირეს; მოპირდაპირეც თავისის მხრით შემოუთვლიდა. ბოლოს ყველანი ერთს ადგილას თავს მოიყრიდენ. პირველად მორევებს მომჩივანი უნდა გამასპინძლებოდა და მასპინძლობაც, რაც შეიძლებოდა, უხვი უნდა ყოფილიყო სასმლითა და საჭმლითა. მორევების სტუმრობა, ისე როგორც დიამბეგისა, საანდაზოდ არის გამხდარი. ამას გარდა მორევებს ეძლეოდა გასამრჯელოდ თვითო «ლერქვაში» (ნივთი სამი მანათის საღირალი), რომელსაც ისინი ღებულობდენ განჩინების დადგენის შემდეგ და მის გამოცხადებამდის.

შეგროვდენ მორევები მომჩივნის

კული ამოცანებისა, შედ. რ. ჯაჯანაშვილისა.

3) ლექსთა-კრება, ნინო ორბელიანისა.

4) პატარა მოამბე, საყმაწვილო წიგნი, შედგ. ალ. მირიანაშვილისა.

5) ქართული ანბანი კუბიკებზედ, შედ. მისივე.

6) თამარ-ცბიერი, ისტ. დრამა აკაკისა.

⁂ შორაპნის მაზრიდამ, ხარაგაულიდგანა გვწერენ: «31 იანვარს, საღამოს შვიდ საათზე ბელაგორის სტანციაში სტრელკის ბუტკაში არტახებში შეკრული ახლად დაბადებული ყმაწვილი დაუტოვებიათ. ეს მაშინვე ჟანდარმს შეატყობინეს, ჟანდარმა მამასახლისს აცნობა, რომელმაც მღვდელი მოიყვანაო. ბავშს გულზე ედვა ქაღალდი, რომელზედაც ეწერა: «ეს ბავშვი მოუნათლავია და მონათლეთ, მადლიაო.» მღვდელმა—რომანოზ დეკანოსიძემ მონათლა. ამ ნათლობაზედ ბევრნი დასწრებიან და მალხაზ ბაქრაძეს და სამს გლეხს ფულიც გადუხდიათ ყმაწვილის შესაწევრად. პირველს 2 მან. და მეორეებს თითო აბაზი. ეს ბავშვი მაშინვე ერთის მეძუძურის ქალისთვის მიუბარებია მღვდელს. ამისთანა ამბავი ხშირად არისო. ერთი ამისთანა უპატრონო ვაჟი ხსენებულის მღვდლისაგან გაზრდილი, დიაკვნად არის გამწესებული იმერ. ეპისკოპოზ გაბრიელისაგანაო. ამ ექვსის წლის წინადაცაო, კანცელარიაში მიეტანად ერთი ბავშვი, მაგრამ რადგან თოვლისაგან ფეხები და ცხვირ-პირი დაზრული ჰქონდა, ველარ იცოცხლაო.»

⁂ გაზ. «Кавказъ»-ს გაუგია, რომ ჩითახოვის ახალ აშენებულს აბანოში, რომელიც პოლიციის მე-7 განყოფილებაში იმყოფება, მობანავე მდაბიო ხალხს ბანაობის შემდეგ თვალების ანთება ემართებათო. ეს თვალების ანთება რამდენსამე დღეს გასტანს ხოლმეო და მხოლოდ ცივის წყლის შემწეობითა ჰრჩებიანო. კარგი იქნებაო, ამბობს გაზეთი, რომ აბანოს პატრონმა ყურადღება მიაქციოს ამას და მცოდნე ექიმების შემწეობით გამოიკვლიოს მიზეზიო.

⁂ ამავე გაზეთს გაუგონია, რომ ტფილისის უმაღლესი მმართებლობა მთავრობასთანა შუამდგომლობს ამიერ კავკასიის საქალებო ინსტიტუტისთვის საკუთარი სადგური ააშენოსო, რადგანაც 1856 წლიდგან თავ. თუმანიშვილის სახლებშია და ქირას იხდისო და რადგანაც ქირაობის ვადა 1889 წ. უთავდებაო: ამ ინსტიტუტის მოსწავლეთა რიცხვი, თურმე, თან-და-თან ჰმატულობს და ამიტომ უფრო განუზრახავთ ახალის საკუთარის სადგურის აშენება. ამ სადგურის შენება პედაგოგიის ახალის მოთხოვნილებისამებრ სწადიანთო.

⁂ 1 ფებერვლის ღამეს, ვოგზალის ახლო, ვანო თეიმურაზოვის და სტეფანე ბაჯალოვის სამიკიტნოში დაიჭირეს დათაშვილი, რომელიც წარსულის წლის 23-ს გიორგობისთვეს მეტეხიდამ გაიქცა და საკატორღოდ იყო დანიშნული. ეს ტუსაღი მე-5 განყოფილების პრისტავის თანაშემწეს სვიმონოვს დაუჭერია. სვიმონოვს შეატყობინეს თურმე რომ დათაშვილი ხშირად დაიარება ხოლმე ხსენებულს დუქანშიო და თუშურს ნაბდის ქუდს ატარებსო. სვიმონოვი შუა-ღამისას წასულა იქ, მაგრამ სამიკიტნოში უთქვამთ: დათოშვილი აქ არ არისო? მაშინ სვიმონოვს მოუთხოვნია, რომ მისთვის გაესინჯვინებინათ პატარა ოთახი, რომელშიაც საშინლადა ბნელოდა. არ უყაბულეს, სვიმონოვი, რევოლვერით შეიარაღებული ძალათ შევარდნილა და კარებში შესჯახებია დათაშვილს, რომელსაც უშველებელი ხანჯლისთვის წაუვლია ხელი და როცა სვიმონოვს დამბაჩა მოუღერებია, დათოშვილს ქართულად უთქვამს: «ნუ მესვრი, ისეც დაგნებდებიო, ოღონდ ნუ მომკლავო. დათოშვილისთვის იქვე იარაღი აუყრიათ. ტფილისის გუბერნატორმა პირადად განუცხადა მადლობა სვიმონოვს ფიცხელის ღონის-ძიების მიღებისათვის ტუსაღის დასაჭერად და სიმამაცისათვის. (გაზ. «Нов. Обоз.»)

—

⁂ 2-ს თებერვალს, ღამის 4-ს საათზე, პოლიციის მე-9 განყოფილებაში, კიროჩნის ქუჩაზედ, ნასწავლის მებაღის, გერმანიის ქვეშევრდომის გენრიხ შარერის სახლებს ცეცხლი მოეკიდა. ჯერ ფიჩვის სარაიას მოედო, რომელიც შეშით იყო გავსებული, მერე ყავარზედ გადავიდა. «პოჟარნის კომანდის» შემწეობით ცეცხლი გააქრეს. ეს სახლი «სალამანდრა»-ს საზოგადოებაში ყოფილა დაზღვეული 5,000 მან. ცეცხლის გაჩენის მიზეზის აღმოსაჩენად გამოძიება ჰსწარმოებს.

30 იანვარს, ერეკლეს აბანოში უცნობი, რომელმაც თავი მოიკლა—აზნაური მიხეილ სვიმონის-ძე სერგეევი ყოფილა. სერგეევი 27 იანვარს ჩამოსულა ფოთიდამ.

ნაკვესი

სასტუმროში ერთმა ადვოკატმა ძეხვი მოითხოვა, ბევრი ეწვალა და კანი ვერ გააცალა. გულ მოსულმა ადვოკატმა იკითხა:

—არ გიკვირთ, რომ კანი არა სძვრება ამ ძეხვსაო?

—ეგ არ მიკვირსო,—მიუგო იქვე მყოფმა აკაკიმ,—მაგრამ ის კი გასაკვირველია, რომ ადვოკატი ხარ და ტყავის გაძრობას ვერ ახერხებო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მართალია პოლიტიკაში ზოგიერთი ზნეობრივი კანონი, რომელიც სავალდებულოა ყოველის კერძო კაცისათვის, პოლიტიკურის მოღვაწისათვის ეხლანდელს დროში თითქო სავალდებულო არ არის, მაგრამ არც ისეთი გადაჭარბება უნდა, როგორც გრაფმა ბისმარკმა გადააჭარბა პოლიაკების განდევნის გამო პრუსიიდამ. დიდი ხანია ქვეყანას აღარ გაუგონია, რომ ისე ცხადად, ისე წარბშეუხრელად და უჯეროდ უარეყოთ სულ უბრალო, მარტივი სამართლიანობა, ღმობიერება, როგორც ბისმარკმა უარ-ჰყო პრუსიის ლანდტაგის კრებების დროს, ვითომ და პოლიტიკურის მოსაზრებით, ვითომ და სამშობლოს სარგებლობის გამო. სრულიად რუსეთის გაზეთები, პეტერბურგისაც და მოსკოვისაც სამართლიანად უსაყვედურებენ ბისმარკს და სრულიად არ თანაუგრძნობენ უკანასკნელს სიტყვას გერმანიის კანცლერისას. ან კი სხვაფრივ როგორ უნდა მოიქცნენ რუსული გაზეთები, როცა ჰხედავენ, რა წყრომით და ულმობელად ექცევა პანგერმანობა სლავიანებს.

> ასეთი ლაპარაკი, ასეთი უწყალო ქცევა—ამბობს გაზ. «Русскій Курьеръ»-ი, სწორედ რომ «სისხლისა და რკინის» პოლიტიკააო და მარტო «რკინის კანცლერს» შეუძლიან მაგ-გვარს პოლიტიკას მისდიოსო!

გაზეთი ამბობს, რომ ეგ პოლიტიკა, რომელსაც ასეთის გრძნობით ჰქადაგობენ ქვეყნიერობის წინაშე, მიმართულია ერთის რიცხვით დიდის და სხვაზედ მეტად განათლებულის სლავიანთა ერის წინააღმდეგაო და განაგრძობს:

> ეგ პოლიტიკა ტანში ყრუანტელივით უვლის და შიშის ზარსა სცემს მთელს სლავიანობასა. ამის შემდეგ სლავიანებმა ძალა-უნებურად უნდა იფიქრონ, რა მოელით მათ შემდეგში, როგორ უნდა მოაწყონ უფრო საუკეთესოდ თავისი ყოფა-ცხოვრება და ან როგორ უნდა მოეპყრონ ნემეცობას, რომლის აწინდელნი და უფრო ძლიერნი წარმომადგენელნი ასეთის მტრობით ექცევიან სლავიანობასაო.
>
> ჩვენ გვგონია, ამბობს ბოლოს გულის წყრომით «Русскій Курьеръ»-ი, რომ სლავიანობა უფრო მეტია რიცხვით, ვიდრე ნემეცობა და, თუმცა ნემეცობა უფრო მეტად განათლებულია, უფრო მეტად მდიდარია და უფრო მეტად გაწვრთნილია პოლიტიკურად, სამაგიეროდ სლავიანობას ჯერ დიდი დრო უდევს წინაო. სლავიანობა ახალი ტომია, როგორც ახალგაზდას ძალა ერჩის და, იმედია, რომ მომავალში ესეც აჰყვავდება და ძლიერი შეიქნებაო. თავისავე საკეთილოდ, ეს არ უნდა აგიწყდებოდეთ ნემეცებსაო.

ჩვენ არ ვიცით, შეუსრულდება თუ არა იმედი პატივცემულს გაზეთს, გაძლიერდება თუ არა სლავიანობა ისე, რომ საშიშარი იყოს ნემეცობისათვის, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ დღეს ბისმარკმა მეტის-მეტად გაუჭირვა საქმე ამ სლავიანობის წარმომადგენელთ პოლიაკებს, ისე რომ ქართულის ანდაზისა არ იყოს, სინამ პეტრე მოვა, იქნება პავლეს ტყავი სრულიად გააძრონ.

⁂

ნემეცები, როგორც მკითხველმა იცის, იმას როდი სჯერდებიან, რომ პოლიაკები განდევნონ პრუსიიდამ. ისიც უნდათ, რომ გაანემეცონ სლავიანები ყველგან, საცა კი ხელი მიუწვდებათ. რასაც ბისმარკი პოზნანში აკეთებს, პოლიაკების განემეცებისათვის, იმასვე სჩადიან ავსტრიელი ნემეცები სხვა სლავიანების განემეცებისათვის. აი რასა სწერს ქალი ნოვიკოვისა ინგლისის ერთს გაზეთში, «*Pall Mall Gazette*»:

> ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორედ ის უნდა ვსთქვათ ეხლა ჩვენც ამ პოლიაკებისა და სლავიანების დევნას რომ ვხედავთ ევროპაში ნემეცებისაგანაო- აქამდი თუ პოლიაკებს ჩვენ ძლიერ გეჯავრებოდით, ეხლა ნემეცებისაგან გულ-ნატკენნი უფრო-და-უფრო გვიახლოვდებიან და მეგობრობას გვიცხადებენო. პოლშელი მამულის შვილები თან-და-თან რწმუნდებიან, რომ უფრო ნამდვილი მამულის-შვილობა იქნება რუსების მეგობრები და მოკავშირენი ვიყვნეთო. ამ აზრს გატაცებით ჰქადაგებდა უკანასკნელს დროს გამოჩენილი მტერი რუსებისა ჩაიკოვსკი (სადიკ-ფაშა), პოლშელი ემიგრანტიო.
>
> იმედი უნდა გვქონდეს, რომ არა-თუ მარტო პოლიაკები, არამედ სხვა სლავიანებიც შეძრწუნდებიან, პოზნანის ამბებს რომ შეიტყობენო. როგორც პრუსია პოზნანში, ისე ავსტრია ბალკანის ნახევარ კუნძულზე ერთისა და იმავე სურვილით არიან გამსჭვალულნიო; ვენაში იმას კი არა ჰფიქრობენ, რომ სლავიანობა გაავრცელონ, არამედ გაანემეცონ და ჰყვლიფონ ტევტონთა ჯიშის სასარგებლოდაო. როცა სერბიამ ზურგი შეაქცია რუსეთს და პირი ავსტრიისაკენ იბრუნა, სერბიას 8 მილიონი ფრანკი ვალი ჰქონდაო. დღეს კი, 8 წლის შემდეგ, მას აქეთ, რაც სერბია ავსტრიის მოყვარულობაშია, ეს ვალი 25 მილიონს ფრანკს შეადგენსო.

⁂

რახან დღევანდელს ჩვენს ნარკვევში ლაპარაკი სლავიანების განემეცებაზე დავიწყეთ, ერთს ახირებულს მაგალითსაც მოუთხრობთ მკითხველს სლავიანების გაჩინელებაზე. ეს სლავიანები რუსეთის დაბალი ხალხია, რომელიც ჩინეთის სამზღვარს ახლო თურმე მოსახლეობს.

> ჩვენი გლეხები, ამბობს ხაბაროველი კორრესპონდენტი გაზ. «Восточное Обозрѣніе»-სი, მშვენივრად ჩინელდებიანო: ტანთაც იმათებურად იცმენ, სახლებსაც იმათებურად იშენებენო. სუ-

---

ოჯახში; მასპინძელი მზად არის. ჩამოსხდენ სკამებზე; სუფრის თავს მასპინძელი ჯდება. სდგამენ ტაბაკებს, ავსეებს პურით, ხორცით და ყველით. მასპინძელი პირველი შეეხო პურს, მაგრამ სანამ ჭამას დაიწყებდეს, მიმართავს მორავებს ამ სიტყვებით: «ჩემი მადლი თქვენ გქონდესთ, ჩემს მოწყალე-შემწე კაცებს; ღმერთმა ჰქნას, რომ ამ გვარი შემთხვევა არ მენახოს თქვენს ოჯახებში. ღმერთმა გიზღოთ ამის მაგიერი, რასაც დღეს თქვენ ჩემთვის შრომასა ჰსწევთ!» და იწყებს ჭამას. მორავებიც უპასუხებენ: «ღმერთმა ამიერითგან მოსპოს ამ გვარი ხარჯი შენს ოჯახში და სამხიარულო სუფრაზე მოვსულიყოთ ყოველთვის.» ამით იწყება პურისჭამა. ამ დროს მეწდე არაყს ასხამს ქარასხში და მიართმევს ჯერ მასპინძელს და მერე ყველას ჩამოურიგებს (სადღიანო სვანეთში ღვინოც არის). ასე ჩამორიგდება მეორედ და მესამედ. ყველამ ჭამას თავი დაანება და მორევები შესცქერიან მასპინძელს-მომჩივანს, რომელმაც თავისი «სარჩელი» მათ უნდა მოახსენოს. მაშინ მომჩივანი ადგება ფეხზე კათხით ხელში, ქუდ-მოხდილი წარდგება მორევების წინ და დალაგებით მოჰყვება თავის «სარჩელს». ჯერ ყველაზედ უწინარეს მოიწოდებს ღმერთს, როგორც ყოვლად სწორ ჲ მართალ მსაჯულს (სწორ სამართალი მეუფშვდე) მერე მიუბრუნდება მორევებს და ეხვეწება, რომ რაკი «მათ ჩადვეს ფეხი მის მადლში და «გაისარჯნენ», კიდეც ეცადონ სინიდისით საქმის გადაჭრას. შემდეგ მოჰყვება თვით საქმეს. მორევები კათხებით ხელში სრულის ყურადღებით უსმენენ: განსაკუთრებით ორი მორავეი ამიტომ, რომ იმათ, რაც კი შეიძლება, სიტყვა-სიტყვით უნდა გადასცენ საჩივარი მოპასუხეს. რაკი მომჩივანი საქმეზე ლაპარაკს დაასრულებს, განმეორებით ჰსთხოვს მორავებს, რომ იგი არ დაჩაგრონ უსამართლობით, და გამოსცლის ხელთ ნაჭერ კათხას. მორავები აიმედებენ, რომ ღვთისა და მომჩივან-მოპასუხის საჯეროდ დაამბოლოონ საქმე. და დასცლიან სავსე ქარასხებს, რომელნიც მათაც აქამდი ხელთ ეჭირათ. მერე მოჰყვებიან ჭამას, სმას და, როცა დაკმაყოფილდებიან, მიდიან თავიანთ სახლებში.

მეორეს დღეს მორევები მიდიან მოპასუხისას, რომელმაც წინ-და-წინვე იცის მათი მოსვლა და მზად არის. იგივე მასპინძლობა, იგივე ორჯერ კათხა არაყით სავსე კათხების ჩამორიგება და მესამეთ რომ აივსებენ, ადგებიან ფეხზე ორი მორევარი და დაწვრილებით გადასცემენ საჩივარს მოპასუხეს. თუ მათ ორს, რამე დაავიწყდებოდათ, მაშინ დანარჩენ მორავებს უნდა მოეგონებინათ. მათს სიტყვა-პასუხში საქებარი ის არის, რომ ისე ტკბილად, დარბილებით გადასცემენ საჩივარს მოპასუხეს და მოპასუხისას მომჩივანს, რომ ორთავეს დასახავდენ ერთმანეთის წინაშე მთხოვნელად, მომნანებელად და მხოლოდ სიმართლის მეძიებელად. ამის გამო რაკი მორავები საქმეში ჩადგებოდენ, მაშინ ყოველთვის სიამტკბილობით თავდებოდა საქმე.

საჩივრის მოსმენის შემდეგ მოპასუხე იმავე წესით, როგორც მომჩივანი, პასუხს მოახსენებენ მორავებს. აქაც მისი პასუხის დახსომება განსაკუთრებით ორის მორავის მოვალეობა იყო. პასუხის მოსმენის შემდეგ, ისევ სმა და ჭამა და ბოლოს თავ-თავიანთ სახლებში წასვლაა.

მეორეს დღეს, გამოფხიზლებულნი მორავები მიდიან ახლა ისევ მომჩივნისას პასუხის გადასაცემადა, თუ მომჩივანი რასმეს დაუმატებდა კიდევ მოპასუხეს გადაეცემოდა და ამნაირად ორის-სამის დღის განმავლობაში ეს მოსმენ-გადაცემა გათავდებოდა. შემდეგ მოწმებს ჰკითხავდენ უთუოდ ფიცს ქვეშ, საყდრის გალავანს შიგნით, გამოსვენებულის ხატის წინაშე. მაგრამ აქ ესეც უნდა დაუმატოთ, რომ სვანეთში საქმე სამოწმოდ ძნელად თუ როდისმე გამხდარა. ეს იმიტომ, რომ ფარულად, ქურდულად, დანაშაულის ჩადენა სვანის ბუნებაში არ იყო და თუ ვისმე მტერობას უწევდა, ეს მხოლოდ სირცხვილის გულისთვის და პატივის აყენებისთვის, რომ მისმა მტერმა არსად დაიკვეხოს: მე ამას ესა-და-ეს დავმართეო! ამიტომაც სვანეთში ძნელი გასაგონი იყო, რომ ქურდულად კაცს კაცი მოეკლას. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ სვანურს განსამართლების წეს-წყობილებაში მოწმები მიღებული არ ყოფილიყვნენ, ესენი აუცილებელნი იყვნენ მაშინ,, როცა მომჩივან-მოპასუხე წამოაყენებდენ რომელსამე ადრინდელს შემთხვევას. აქ მომსწრე კაცების მოხუცების ჩვენება მეტად საჭირო იყო და ამითი თავდებოდა გამოძიებითი მხარე საჩივრისა.

ვსთქვათ, მსაჯულ-მედიატორებმა გაათავეს მოწმების კითხვაც (როცა ეს საჭირო იყო) ყოველი საფუძველი და საბუთი ხელთა აქვთ. ახლა საჭიროა მისი აწონ-დაწონვა, მომჩივან-მოპასუხის საბუთების შედარება და ბოლოს განჩინების დადგენა. ამაზედ მერმე ვიტყვით.

სვანი

> ჩანში ერთი დუქანია და ამ დუქნის დახლიდარი რუსი ხომ უფრო სრულიად "გაჩინელდა—წარმოიდგინეთ; დიდის სიამოვნებით შეექცევა ჩინელების საყვარელს საჭმელს—ჩინურს ხაშიშსაო.

ჩინეთის სამზღვრის ახლოს დასახლებულთა შესახებ კი რა მოგახსენოთ და დაბალი ხალხი რუსეთისა, რომ საცა მიდის ძალიან ადვილად უთვისდება იქაურ მკვიდრთა, ამას ყველა ჩვენგანიც შენიშნავდა. ჩვენი ტფილისი დღეს სავსეა უბრალო მუშა ხალხით, მეტადრე მალაკნებით, რომელნიც მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულს, იცვამენ აქაურ კინტოურ ტანისამოსს და სიტყვა-პასუხზე და ქცევაზე ვერც კი შეატყობთ რომ აქაური მკვიდრნი არ არიან, თუ მეტად განსხვავებულს მათ სახეს არ დააკვირდით.

⁂

ერთს მაგალითს კიდევ მოვიყვანთ იმის შესახებ, თუ როგორ გატაცებულია დღეს ყველა იმით, რომ უცხომა და უცხოელმა თავისი გავლენა არავისზე არ იქონიოს და მკვიდრს საკუთარი სახე არ ჩამოაცალოს. სლავიანთა ცნობილი მომღერალი ბ-ნი სლავიანსკი თურმე იმიტომ კი არ მოგზაურობს სლავიანების ქვეყნებში, რომ იმღეროს და ამ მღერითა ფულები ჰკრიფოს, არამედ იმიტომაც რომ თავის სიმღერით სლავიანობის სული შთაბეროს მსმენელთა და პანსლავიანობის გრძნობა განუცხოველოს.

> «მადიარებმა შეიტყეს თუ არა, რომ სლავიანსკი მოდისო, სწერენ «Московскія Вѣдомости»-ებს, შეეშინდათ, ვაი თუ რამ ზედ-მოქმედება იქონიოს იმისმა სიმღერებმა აქაურ სლავიანებზეო, მეტადრე სერბიელებზეო და სლავიანსკის ქოროს მთავრობამ აღუკრძალა ტრანსილვანიაზე გავლაო.

სიფთხილეს თავი არა სტკივაო. მადიარებსაც ასე მოსვლიათ.

დამაკვირდი!

— თავსა ნუ იქებ,—არა ჴსთქვან:
ავად რამ არის მქებელი;
ნუცა აძაგებ, დაგწამონ:
კაცია ფარისეველი. (მეფე ვახტანგ VI)

⁂

— არაფერში კარგა იგი, ვინც მარტო თავის თავისათვის კარგა. (ვოლტერი)

⁂

ნამუსს ახდილის კაცის მწუხარება და დევნულება სახელია პატიოსანის კაცისათვის. (ბუასტი)

⁂

გაჭირება აღებინებს ვალს და შრომა კი ისდის. (დე ჟუსსი)

⁂

თვითონ კაცს უნდა ჰქონდეს საკუთარი ღირსება, რომ სხვის ღირსება აღიაროს. (პომპადური)

⁂

ყველაზედ უტყუარი ნიშანი უმაღლესის ღირსებისა—შურის არ ქონვაა. (ლა როშფუკო)

⁂

სპარტანელთა ჯარში ერთი კოჭლი ჯარის კაცი აღმოჩნდა, სახელად ანდროკლიდი. კოჭლობის გამო დაითხოვეს და ჯარში აღარ მიიღეს.

— მე მეგონა, რომ ომში მეომარი იყო თქვენთვის საჭირო და არა გამქცევი, უთხრა თურმე გულ-ნატკენმა ანდროკლიდმა.

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

ქილილა და დამანა, სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი ვახტანგ მეფისაგან. თ. გრ. გურიელის გამოცემა ილია ჭყონიას რედაქციით. ტფილისი 1886 წ.

ეს წიგნი, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა ბეჭდვიდამ, ისეთს საუნჯეს შეადგენს ქართულ ლიტერატურაში. რომ უადგილო არ იქნება მის შესახებ «ივერიის» მკითხველს ორიოდე უმთავრესი ფაქტი გადავცეთ. ქილილა და დამანა არის ერთი იმ იშვიათთა მეცნიერების ნაწარმოებთაგანი, რომლის საფუძველზე ახლა ევროპიის მსწავლულთ მხრივ დიდი ყურადღებაა მიქცეული და თუმცა ჯერეთ სრულიად გამოკვლეული არ არის, მაგრამ იმისი ისტორიული სვე უკვე დასკვნილია.

როგორც ვიცით, ძველის-ძველად, ქრისტეს შობის ბევრით ადრევე ინდოეთში ჰყვაოდა გასაოცარი ლიტერატურა. იქ სანსკრიტული ენა, დედა ახლანდელის ევროპიულის ენებისა, გამოჩენილის ლინგვისტის მაქს მიულლერის გამოკვლევით, ისე მდიდარი იყო იგავ-არაკებით, რომ ამ მხრივ არც ერთი ლიტერატურა, ძველი და ახალი, მას ვერ უდრის. იქ იგავ-არაკებით განისწავლა ერისა მის მოძღვართაგან, რომელთაც ბრამინებად უწოდნენ, ჩვეულებად იყო მიღებული. ამის გამო შესდგა მრავალგვარი ზნეობრივის სწავლით სავსე კრება იგავ-არაკთა და თუმცა საუკუნეთა განმავლობაში სანსკრიტული ენა გაჰქრა, დანაშთენნი ინდოეთის ენები გადაშენდნენ, მთელი ინდოეთი უმეცრების წყვდიადით გარე-მოიცო, მის გარეთ მრავალნი სამეფონი აღდგნენ და ჩაამალნენ. მაგრამ ინდოეთის ლიტერატურა და თვით იგავ-არაკთა კრება მეცნიერებას მაინც შერჩა.

ქილილა და დამანა სანსკრიტულს ენაზე წოდებულია ქოლეილაპ-ვაჰ-დიმნად და, როგორც ჩანს, ძველის საბერძნეთის მსწავლულთაგანაც ყოფილა ცნობილი, რადგანაც იქიდგან ზოგიერთი რამ გამოღებული აქვს ეზოპოსსა თავის იგავ-არაკებში. ქილილა და დამანა ამავე თუ სხვა სახელ-წოდებით ძველადგანვე თარგმნილი მრავალს უცხო ენებზე მე-V საუკუნეში, სპარსეთის მეფის ხოსრო ნუშირვანის დროს, ფეჰლევურად; (ფეჰლევური ენა იყო უძველესი სპარსული ენა); მე-VIII საუკ. ფეჰლევურიდამ არაბულად; მე-XI საუკ. ახალ სპარსულად; შემდეგ სხვა-და-სხვა ევროპიულ ენებზე. რა ღრმად ჩაუგდია მას თავისი საფუძველი ევროპიის ხიადაგში, აი ამაზე რას გვამბობს იგივე მაქს მიულლერი. «ხსენებულს იგავ-არაკებს უფრო მეტის გულ-მოდგინებით კითხულობდნენ, ვიდრე ბიბლიას, ვიდრე სხვას რომელსამე წიგნსა; არა თუ კითხულობდნენ, თვით მათი შინაარსი შეჰქონდათ კიდეც მოქადაგეებს თავიანთ სწავლა-მოძღვრებაში და საზოგადოდ მწერლებსა ზნეობრივს თხზულებებში. იგინი იქ სრულებით შეთვისებულ იქნენ, ადგილობრივ სისხლ-ხორცად გადიქცნენ და ისე შეიცვალნენ, რომ მათი აღმოსავლეთური ხასიათი ბინდით მოიცო».

ქილილა და დამანა ქართულ ენაზე ყოფილა თარგმნილი ვახტანგზე ადრეც. ამ საგანზე თვით ვახტანგი გვაძლევს ცნობას თავის ქილილა და დამანაში (გვ.). აქ ის ამ პირველ თარგმანს, რომელიც დროთა ვითარების გამო დაკარგულა, მიაწერს თამარ მეფის დროს. მაგრამ ჩვენის ფიქრით იგი თამარზე წინად უნდა იყოს ნათარგმნი, რადგანაც ქართლის ცხოვრება მას იხსენიებს არა თამარის დროს, არამედ გიორგი მე-III-ს მეფობაში (ქ-ცხ., 269). რათ ჰქვიან ამ იგავ-არაკთა კრებას ქილილა და დამანა, ანუ საფუძვლიანათ აქვს თუ არა მას ეს სახელ-წოდება მითვისებული? ქილილა და დამანა, როგორც ამას შეჰნიშნავს წინა-სიტყვაობა წიგნისა და გვიმტკიცებს თვით შინაარსი წიგნისა (გვ. 79), სახელებია ორის ტურისა, რომელნიც ამ კრებაში მოქმედ პირებათ არიან გამოყვანილნი, სხვათა მრავალთა მოქმედ პირებთა შორის; მაგრამ ორნივე თ. გრ. გურიელის გამოცემაში იხოცებიან—ქილილა 209 გვერდზე და დამანა—225 გვ. შემდეგ მთელს წიგნში, რომელიც შეიცავს 585 გვერდსა, მათი ხსენება სრულებით აღარ არის. ჩვენის აზრით, ეს მთელის კრებისათვის მითვისებული სახელ-წოდება იმას გვიჩვენებს, რომ როდესაც იგი პირველად თარგმნილა, სპარსულად თუ ქართულად, იქამდე ყოფილა მიყვანილი, სადაც მოთხრობა სწყდება ქილილაზე და დამანაზე; შემდეგნი კრებანი კი შემდეგ არიან შემოკრებულნი და სახელ-წოდება ძველივე შერჩენიათ. სიმართლე კი მოითხოვდა, რომ ამ კრებისათვის ეწოდათ სახელი იმ მეცნიერისა, რომელიც მთელს წიგნის შინაარსს უამბობს რაიმ-დაბიშლიმს და რომელიც არის ბარამან.

ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ ჩვენ აზრათა გვქონდეს ამ გარემოების ჩვენებით რაიმე წუნი დავდოთ თვით წიგნსა. სრულებით არა. იგია შემკული ისეთის ღირსებით, რომლის გამოხატვა საგაზეთო სტატიის მხრივ შეუძლებელი საქმეა. რომ ვთქვათ, ქილილა და დამანა ვახტანგისა აქვსო უბრალო კრება ინდოეთის იგავ-არაკთა, ამის თქმით ჩვენ ჭეშმარიტებას მეტად დავშორდებით. ეს ქილილა და დამანა მთლად იმ გვარად არის შემუშავებული, იმისი პლანი ისეთს ხელოვნურს სამირკველზეა დასკვნილი, იმისნი მრავალ-გვარნი მოთხრობანი ისეთ ნაირად არიან ერთი-მეორესთან შეკავშირებულნი, იმისნი მოქმედნი პირნი, პირუტყვების სახით მოსილნი, ისე ცხოველად იხატებიან თვითოეული თავისის ნამდვილის ბუნებით და ხასიათით, რომ ცხადად ჰხედავთ აქ ერთს მაღალ-ნიჭიერს და დიდის მეცნიერებით აღჭურვილს პირს უმოქმედნიათ. არ ვიცი, სხვანი ამ წიგნის მკითხველნი რას იტყვიან, მე კი, იქნება ვცდებოდე, მაგრამ ვიტყვი, რომ აზროვნების და პოეზიის მოყვარულ მკითხველს ვერც ერთი ახლანდელი რომანი ისე ვერ იზიდავს და ვერ აღელვებს, როგორც ეს ძველი რომანი, ქილილა და დამანად ცნობილი.

ძალიან საინტერესოა ამ ჩვენი ქილილა და დამანის შედარება სხვა ამ გვარ თარგმანებთან ევროპიულ ენებზე და მეტადრე სპარსულს ქილილა და დამანასთან, საიდამაც ვითომც, როგორც ვახტანგი გვარწმუნებს, იგი იყოს ნათარგმნი. საინტერესოა ვცნათ, რა ეკუთვნის აქ სპარსულს ორიგინალს და რა თვით ვახტანგს და იმის თანამშრომელს საბა ორბელიანსა. რომ ქართულისა და სპარსულს ქილილა და დამანაში ძალიან დიდი განსხვავება უნდა იყოს, ამაზედ ჩვენ ჩვენის მხრით არავითარი ეჭვი არა გვაქვს. ქართული ქილილა და დამანა არის ქრისტიანობრიას საფუძველზე დამყარებული სწავლა-მეცნიერება, თავის იგავ-არაკებით და სურათებით მთლად მომართული ადამიანის ზნეობის გასაწვრთნელად, სულის სიწმინდის დასაცველად, საზოგადოებაში შურისა და ამბოხების აღმოსაფხვრელად, ერთი მეორისადმი სიყვარულის დასამყარებლად, გლახაკისა და დავრდომილის მწყობად, მეფეებისა და მებატონების მხრივ ნიჭიერთა და ერთგულთა მოხელეთა დასაფასებლად, გლეხთა და მოყმეთათვის მზრუნველობად და სხვა და სხვა. მთელს წიგნში, თავით ბოლომდე, თქვენ არა პოულობთ არც ერთს სახსრების წინააღმდეგს აზრსა, არც ერთს უშვერს სურათსა და ფრაზასა. ამ საგნისთვის, როგორც ჩანს, ვახტანგს დიდი ყურადღება ჰქონია მიპყრობილი. ერთს ადგილს ვახტანგი ამბობს: «სადაც სჯულის წინააღმდეგი ჩნდა, ცოტა რამ ჩალხი ვკარ» (გვ. 74).

ვიმეორებ ზემოდ თქმულს სიტყვასა: გაზეთში შეუძლებელია ამ მაღალ-მშვენიერის ქმნილების სრული დაფასება. ამას კი ვიტყვი გაბედვით, ვახტანგ მეფეს რომ გარდა ქილილა და დამანასა სხვა არა-რა ეღვაწნა ქართველთ სასარგებლოდ თავის ცხოვრებაში, ესეც საკმაო უნდა ყოფილიყო, რომ მისი სახელი აღვემაღლებინა და იგი ჩვენს ისტორიაში, ჩვენთა უპირველეს მოღვაწეთა გუნდში შეგვერიცხა. ჩვენ არ ვეჭვნეულობთ, რომ ქილილა და დამანა შეიქნება ჩვენში ყველასათვის საჭირო წიგნად; რომ ამ წიგნში ჰპოებენ: სამღვდელონი საჭიროს ერის სამასწავლებლო საგნებს; საზოგადოდ მამა-კაცნი და დედა-კაცნი, ნასწავლნი და უსწავლელნი, მოხუცნი და ყმა-კაცნი გამწვრთნელს აზრებსა და მშვენიერის ლექსებით შემკულს დროს გამტარებელს მეგობარსა; ქართულის ენის შესწავლის მოწადინეები ყრმანი შეუდარებელს სახელმძღვანელოს.

აქ არ შეგვიძლიან ჩვენის მხრით და თვით საზოგადოების მხრით გულითადი მადლობა არ ვუძღვნათ თ. გრიგოლ გურიელს, რომ იგი ამ კარგა მოზდილის წიგნის გამოცემისათვის საგრძნობელ ხარჯს არ მოერიდა და თვით ბ-ნს ილია ჭყონიას, რომ მან ასე ფაქიზად და წიგნის შესაფერად და თითქმის უცდომელად იგი დაბეჭდა.

დიმიტრი ბაქრაძე.

დეპეშა

ფებერვალს 1

მოსკოვი. გუშინ უნივერსიტეტის ეკკლესიაში გენერალ-გუბერნატორის, გენერლობის, დეპუტაციობისა, პროფესორებისა და მრავალ მლოცველთა თანადასწრებით წირვა გადუხადეს განსვენებულს აქსაკოვს. წირვის შემდეგ პროცესსია მწუხარებით გაემართა იაროსლავის ვოგზალისკენ. კუბო საკაცეზედ იდგა და ისე მიჰქონდათ; გვირგვინები სამგლოვიარო ეტლზედ ეწყო; მედიდურობა არ ეტყობოდა პროცესსიას; მაგრამ მრავალი ხალხი, რომელიც მისდევდა პროცესიას და აგრეთვე მრავლად იდგა პროცესიის აქეთ-იქით ამტკიცებდა, რომ ხალხი ღრმა პატივსცემას და სიყვარულს უცხადებდა განსვენებულს. ანდერძის აგების შემდეგ კუბო შაასვენეს სამგლოვიარო ვაგონში და მატარებელი წავიდა სერგიევის პასადისკენ. აქედგან ცხედარი მიასვენეს ტროიცკის ლავრაში, სადაც დღეს მიწას მიაბარებენ.

ლონდონი. ლეისტარში უწესოება მთელს საღამოს არ შეწყვეტილა, თუმცა იქაურს პოლიციას ახლო მახლო ქალაქებიდამაც მიეშველა და პოლიციელთ რაზმები—ისე გაჭირდა საქმე, რომ მთავრობამ გადასწყვიტა ჯარი მოიხმაროს.

ბუქარესტი. რადგანაც პორტამ მიუწერა მეჯიდ-ფაშას, რომ მშვიდობიანობაზე ლაპარაკს ნუღარ განაგრძობთ, ვიდრე ჩვენ არ მოგაწონებთ შენგანა და გეშოვისგან განზრახულს პირობას ზავის ჩამოგდებისასო, სერბიასთან მოლაპარაკება გადადებულ იქმნა რამდენისამე ხნით ვადის აღუნიშნელად.

ბელგრადი. აქამდე მშვიდობიანობაზე ლაპარაკისათვის იმზადებოდნენ და მხოლოდ პირველი მუხლი იქმნა დაწერილი.

პირველის მოწოდების ჯარის კაცნი სერბიის ლაშქრისა უკვე თოფ-ქვეშ დგანან.

ათინა. მაშველ ჯარის კაცთა მოწოდებაც დაიწყეს; ლაშქარი თავს იყრის თესალიაში.

ლონდონი. დაინიშნა კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს არეულობის მიზეზი და პოლიციის მოქმედების ვითარება.

ლონდონის ლორდ-მერისაგან გამართულის ხელის-მოწერით გუშინდელს საღამომდე შეჰკრიბეს 20 ათასი გირვანქა სტერლინგი იმ მუშების სასარგებლოდ, რომელთაც სამუშაო არა აქვთ და უსაქმოთ არიან.

სერგიევის პასადი. დღეს დილის 8 საათზე მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორებმა და სტუდენტებმა აქსაკოვის სახელის პატივის-საცემლად პანაშვიდი გადაიხადეს.

9 საათზედ ლავრის წინამძღვარმა არხიმანდრიტმა ლეონიდმა სწირა კრებულითურთ და პანაშვიდი გადაიხადა. წირვაზედ დაესწრო: გენერალი ჩერნიაევსკი, კირეიევი, თავ. შჩერბატოვი, ვოევოდა პეკო-პავლოვიჩი,

მოსკოვის ქალაქის თავი ალექსეიევი და გრაფი კაპნისტი. 12 საათზე აქსაკოვი მიწას მიაბარეს. საფლავი აქსაკოვისა იმყოფება ღვთის მშობლის მიძინების ეკლესიის ლავრის ახლო ტრაპეზიდამ ჩრდილოეთ კერძო. საფლავს მიბარების დროს სიტყვა წარმოსთქვა: აკადემიის პროფესორმა გორსკი-მილლერმა და ერთმა გლეხთაგანმა.

2 თებერვალს.

პეტერბურგი. დღე წირვა გადაიხადეს საერო განათლების სამინისტროს ეკკლესიაში აქსაკოვის მოსახსენებლად. წირვას დაესწრნენ საერო განათლების მინისტრი, მისი ამხანაგი და სამინისტროს მაღალ-ხარისხოვანნი მოხელენი.

ვარშავა. გუშინ მობრძანდა აქ ბრამბერგის გზით გერმანიის იმპერატორის მემკვიდრის შვილი, ისაუზმა საიმპერატორო ოთახში ვოკზალზე და 4 საათზედ ტერასპოლის გზით წაბძანდა ნესვიჟს.

პეშტი. ბელგრადში შემდგარმა კომიტეტმა «ვენგრიის ლეგიონისამ» დაბეჭდა მოწოდება, რომლითაც სთხოვენ მხურვალეთ, ჩაეწერონ ლეგიონში და შესწირონ ფული ლეგიონის სასარგებლოდ და საკვებლად. ლე-

გიონის შედგენას ჰფიქრობენ ნიშში. 1000 ჯარის კაცი უნდა ირიცხებოდეს ამ ლეგიონშიო.

ბუქარესტი. მიატოვიჩმა ითხოვა, რომ მეორე მუხლიც დაწერილიყო მშვიდობიანობის ხელ-შეკრულობისა მიჯნის შესახებ, მაგრამ მეჯიდ-ფაშამ და მეშოგმა სთქვეს, რომ ჯერ პორტას უნდა შევატყობინოთო და მისწერეს დეპეშა.

რუმინიის მმართებლობამ ბრძანა, რომ კვლავ შესდგეს ორი რაზმი დოლონანცებისა და ერთი პოლკი კალარაშებისა დობრუჯაში.

სტამბოლი. პორტას ცირკულიარი გაუგზავნია დიდთა სახელმწიფოთათვის. ამ ცირკულიარში იგი ჰპასუხს აძლევს რუსეთს, რომელიც წინააღმდეგი გამხდარა ოსმალ-ბოლგართა მორიგებისა და ამბობს, რომ რუსეთი მხოლოდ გარეგან სახეს მორიგებისას ეწინააღმდეგებაო. რაც შეეხება სამხედრო ნაწილს, მორიგებისას და განსაკუთრებით იმ მუხლს, რომელშიაც სწერია, რომ ოსმალეთს ნება აქვს ოტტამანთა იმპერიის დასაცველად მოიხმაროს ბოლგარიის ჯარებიო, ეგ მარტო აღიარებაა სონთქარის უზენაეს უფლებათაო და სხვა არა რაო. მაგრამ მაინც პორტა თანხმაა შესცვალოს ამ მორიგების წერილი, როგორც დიდნი სახელმწიფონი საჭიროდ დაინახვენო.

ბელგრადი. რუსეთის ელჩს ებრძანა, რომ მოელაპარაკოს სხვათა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რათა მეტის მხნეობით ეწინააღმდეგონ სერბიას, რომ აღარ ურჩობდეს.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ **1886** წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

ფებერვალი 28 დღით არის

4 დღე სამშაბათი. ღირსისა ისიდორესი, კირილესი და მთავ. გიორგისა. სომ. მეორე დღე მარხვისა არაჩავორაცი; კათ. ანდრია კორს. ებ. მუსულმ. 13 დღე თთვისა ჯემად-ულ-ევედ 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—17; ტფილისში მზე ამოდის 6—54, ჩადის 5—34; მთვარე ამოდის 3—14; ჩადის 4—22 ნღ.

5 დღე ოთხშაბათი. ქალწ. მოწ. ალათიასი კათ. ალათიასი მუსულმანთა: მიცვალება ალისა (სუნიტ. მოძღვარ.) ჭეშმარიტი შუადღე 12—14—13. ტფილისში მზე ამოდის 6—52; ჩადის 5—36. მთვარე ამოდის 4—20; ჩადის 5—15 ნღ.

6 დღე ხუთშაბათი. ღირსისა ვუკოლე ეპ. ივლინისა წმ. ქალწ. მოწ. მართასი და მარიამისა. კათ. დოროთისა. გავსება მთვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—8. ტფილისში მზე ამოდის 6—50; ჩადის 5—37. მთვარე ამოდის 5—47; ჩადის 6—4 ნღ.

7 დღე პარასკევი. ღირსისა პართენი ეპ., ლუკასი და 1003 მოწამეთა. სომ. იონა წინასწარმ. კათ. რომუალდისა და კლოტილდისა. ჭეშმარიტ. შუადღე 12—14—2. ტფილისში მზე ამოდის 6—49; ჩადის 5—38. მთვარე ამოდის 6—57; ჩადის 6—45 ნღ.

8 დღე შაბათი. წმ. დიდ. მოწამისა თეოდორე სტრატილატისა, ზაქარია წინასწარმეტყველისა, სომ. წმ. სარქის სტრატილატისა, ძისა მის მარტიროზისა და 14 მხედართა. გახსნილება.

ბაქოს ხანი ჰუსეინ-ყული გამოვიდა ბაქოს ციხიდან თ. ციციანოვისათვის ქალაქის გასაღების მისართმევად. როცა ციციანოვმა ჩაიბარა გასაღები, უცებ მოკლულ იქმნა თ. პოდპოლ. ერისთავითურთ ხანის მხლებელ სპარსელთაგან. ციხიდამ გამოცვივდნენ და ციციანოვი ასო-ასო დასჭრეს და თავი თან წაიღეს. ციციანოვის გვამი დამარხულია სიონში 1806 წ. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—55. ტფილისში მზე ამოდის 6—48; ჩადის 5—39; მთვარე ამოდის 8—9; ჩადის 7—25.

9 დღე კვირა. ცთომილ შვილი წმ. მოწამე ნიკიფორესი, კათ. აპოლონისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—48. ტფილისში მზე ამოდის 6—47; ჩადის 5—40. მთვარე ამოდის 9—15; ჩადის 8—13.

10 დღე ორშაბათი. წმ. მოწამე ხარლამპისა. სომ. წმ. ატომიანთი. კათ. სხოლიასტიკისა და ირინესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—40. ტფილისში მზე ამოდის 6—46; ჩადის 5—42. მთვარე ამოდის 10—24 ნღ. ჩადის 8—39.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2¼ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3 »
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	8 »
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	6 «
2-ის ხარისხ.	5 »

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
თაბუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის -- — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
„КАВКАЗЪ“
на 1886 годъ (41 годъ изданія).

Въ 1886 году газета «КАВКАЗЪ» будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.
съ достакою въ тифлисѣ:

На годъ	11 р. 50 к.
» полгода	6 р. — »
» 3 мѣсяца	3 р. 50 к.
» 1 мѣсяцъ	1 р. 50 к

съ пересылкою

по имперіи	по почтовому союзу
13 р.	18 р. 40 к.
7 р.	10 р. — »
4 р.	6 р. — »
1 р. 75 к.	2 р. — »

подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова. Для иногор. адресовать: *Тифлисъ. Въ Редакцію газешы «КАВКАЗЪ».*

დაიბეჭდა და ისყიდება
საყმაწვილო სურათებიანი წიგნი
„მგლის თავ-გადასავალი“
წიგნში 33 სურათია, ფ. 20 კ.

ისყიდება გრიქუროვისა და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში. ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან დაიბარებს არა ნაკლებ ოცის წიგნისა, მას მანათზედ ერთი აბაზი დაეთმობა. ადრესი: Тифлисъ, Татишвили, Акимовская ул. № 22.

(5—4)

სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფებოდა ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ქვაშუეთის ეკკლესიის შენობაში, გადავიდა საპერნის ქუჩაზე, მთავარ-მმართებლის თანაშემწის სახლის გვერდზედ ალექსანდროვის ბაღთან, თავის საკუთარს სახლებში, № 4.

იღებს ყოველ-გვარს საბეჭდავს საქმეებს სხვა და სხვა ენებზედ. ფასი ზომიერი; შეკვეთილი საქმე სუფთად და ვადაზედ ჰბარდება შემკვეთელს. ქალაქ გარედ მცხოვრებნი შეუძლიანთ ამ ადრესით მომმართონ: *Тифлисъ, Типографію Еф. Ив. Хеладзе на Саперной улицѣ въ собственномъ домѣ.*

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

„ივერია“

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით	10 მ. — კ.	6 თთვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 »	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію газеты
«ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.
პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.
რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 3 февраля, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.